ახალი წიგნები

დავით მერკვილაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მეფე ერეკლე (მიზნები, სურვილები, შედეგები), თბ., 2022

რუსეთის მთავრობის დიდი ძალისხმევის შედეგად 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მოექცა, რითაც საფუძველი ჩაეყარა რუსეთის ბატონობას სამხრეთ კავკასიაში. წლების განმავლობაში ამ საკითხს იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა და პროპაგანდისტული მითებით იმოსებოდა. ამ თემას კრემლი ამჟამადაც იყენებს პროპაგანდისტულ იარაღად ჩვენს ქვეყანაში თავისი იმპერიული ინტერესების სასარგებლოდ.

წიგნში პირველწყაროების საფუძველზე გაანალიზებულია იმ მიზეზთა ერთობლიობა, რამაც განაპირობა აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება. კავკასიაში, შავიზღვისპირეთსა და ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარების ფონზე. ამ თვალსაზრისით ნაჩვენებია როგორც ქართული, ისე რუსული მხარის მისწრაფებები, მიზნები და ამოცანები.

აქვე მოხმობილია და გულდასმით გაანალიზებული ბევრი უტყუარი ისტორიული ფაქტი, რაც მკითხველისათვის თვალსაჩინოს გახდის, თუ როგორ კატასტროფულად გაუარესდა ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებიდან პირველსავე წლებში.

ალექსანდრე მიქაბერიძე, ლევან მიქაბერიძე, ნიკა ხოფერია, ნაპოლეონის მარშლები, თბ., 2022

ქართველ მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება, ქართულ ენაზე გაეცნოს ნაპოლეონ I-ის დროინდელი საფრანგეთის მარშლების საინტერესო და დრამატული მომენტებით აღსავსე ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

„აქ არის ოცდაექვსი კაცი, რომლებიც ეპოტინებოდნენ გვირგვინებს, ცხარედ კამათობდნენ ერთმანეთში, ხლართავდნენ ინტრიგებს, იბრძოდნენ, ლაშქრობდნენ და ეცემოდნენ ყველა დროის უდიდესი მხედართმთავრის მეთაურობით. ისინი იყვნენ არისტოკრატიიდან, საშუალო ფენიდან თუ მდაბიოთაგან, სამი რამ ჰქონდათ საერთო – ამბიცია, უკიდურესი სიმამაცე და ის თავისებური სიამაყე, რომელიც ან წარმატების მწვერვალს მიაღწევინებს კაცს, ან დაამდაბლებს მას ბავშვური აზროვნების დონემდე“. – რონალდ ფ. დელდერფილდი

ზეპირი ისტორია. 1978. 14 აპრილი, შეადგინა ანა ბაქანიძემ, თბ., 2022

საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქართული ენის დასაცავად დაწყებული პროტესტი: ცეკაში გაგზავნილი წერილები, სტუდენტების შედგენილი პეტიცია და ასობით შეგროვებული ხელმოწერა, მეცნიერთა და მწერალთა თამამი გამოსვლები, თეთრ მაისურებზე გამოყვანილი „აი ია“, სკოლის ფანჯრებიდან გაპარული მოსწავლეები, სიცოცხლის რისკის ფასად გამართული დემონსტრაცია, ტანკებით სავსე თბილისი და ქორწინებით დაგვირგვინებული 14 აპრილი...

კიდევ ბევრ საინტერესო ისტორიას გაეცნობა მკითხველი ამ წიგნში, რომელიც 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს აცოცხლებს. პროტესტის მონაწილეთა 78 ამბავში ერთი შეხედვით სტიქიური სტუდენტური ამბოხია აღწერილი, რომელსაც ეპოქალურ მოვლენათა მთელი ჯაჭვი მოჰყვა – სწორედ 14 აპრილით დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის ათვლა, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

დავით დარეჯანაშვილი, ზურაბ ბრაგვაძე, ქეთევან დიღმელაშვილი, ითხვისის ნაქალაქარი, თბ., 2021

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს დაფინანსებით 2019-2021 წლებში მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში, ადგილ ნაქალაქარზე.

ნაშრომში წარმოდგენილია ძეგლის ზოგადი სტრატიგრაფია და ძირითადი პერიოდები, ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნაგებობების აღწერა, მასალის ანალიზი და ა.შ.

წიგნს ერთვის ილუსტრაციები და როგორც გეოგრაფიულ სახელთა, ისე პირთა საძიებლები.

თედო სახოკია, მოგონებანი, თბ., 2021

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია ქართველი მკითხველისათვის ცნობილია როგორც, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი (თარგმნიდა რამდენიმე ევროპული ენიდან). მისი ნაშრომები ფასდაუდებელია ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მემუარული ჩანაწერები.

წინამდებარე წიგნი სწორედ თედო სახოკიას მოგონებათა ჟანრის ორ ნაშრომს აერთიანებს: „როგორ ვიზრდებოდით ძველად“ და „ჩემი საუკუნის ადამიანები“. ესაა მასალები XIX-XX საუკუნეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ძირითადად ავტორის თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა შესახებ.

თედო სახოკია მკითხველს აცნობს გამოჩენილ პირთა ცხოვრების ხშირ შემთხვევაში აქამდე უცნობ დეტალებს, წარმოაჩენს მათს დამსახურებას ქართველი ხალხის სულიერი კულტურის გადარჩენაში.

კუკური მეტრეველი, ჯავახეთი (ისტორიულ-კულტურული ნარკვევი), თბ., 2022

წიგნში მოცემულია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის – ჯავახეთის ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე; მოთხრობილია რეგიონის უნიკალური გეოგრაფიული ლანდშაფტის თავისებურებებისა და ხელოვნების ძეგლების შესახებ; აგრეთვე რეგიონში განვითარებული სასოფლო-სამეურნეო დარგებისა და ადგილობრივ ჯავახთა მძიმე ისტორიული ყოფის თაობაზე.

მიმოხილვითი ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და განკუთვნილია როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევართა, ისე დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრისათვის. გამოცემა უხვად ილუს-

ტრირებულია ჯავახეთის პეიზაჟების და არქიტექტურული თუ ეთნოგრაფიული ნიმუშების ფოტოებით.

მაია პატარიძე, დავით აღმაშენებელი. ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა, თბ., 2022

2021 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საქართველოში მოპოვებული დავით აღმაშენებლის გამოსახულებიანი სპილენძის ორი მონეტა შემოვიდა. ამ ტიპის მონეტა დღემდე უნიკუმად იყო ცნობილი, არსებული ერთადერთი ეგზემპლარი ბრიტანეთის მუზეუმში ინახებოდა.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ახლად აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ძეგლების ტიპოლოგიასა და იკონოგრაფიულ კვლევას. მოყვანილია ასევე კარგად ცნობილი ლონდონური ცალის ნუმიზმატიკურ-მეტროლოგიური ანალიზი.

წიგნში დეტალურად არის ნაჩვენები ამ მონეტების იკონოგრაფიული თავისებურებები, რაც ზოგიერთი ისტორიული ფაქტის დაზუსტების საშუალებას იძლევა. ახალი ნუმიზმატიკური მასალის გამოჩენამ ახალი შტრიხები შესძინა ამ სამონეტო ტიპს და მკაფიოდ გამოკვეთა დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკური ვექტორის ერთ-ერთი ხაზი, კერძოდ, მისი ჯვაროსნებთან ურთიერთობის საკითხი, რაც დღემდე მეცნიერთა შორის დიკუსიის საგანს წარმოადგენს.

წიგნში ასევე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული სახელოვან ქართველ მონარქთან დაკავშირებული სხვა არტეფაქტებიც, რომლებიც ნუმიზმატიკურ ძეგლებთან ერთად ფართო ისტორიულ კონტექსტშია განხილული.

ჰენრი კისინჯერი, მსოფლიო წესრიგი, ინგლისურიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ, თბ. 2021

ჰენრი კისინჯერი წიგნში „მსოფლიო წესრიგი“ ღრმად მიმოიხილავს და აანალიზებს 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევას – როგორ შეიძლება საერთაშორისო დონეზე აღიარებული წესრიგი დამკვიდრდეს მსოფლიოში, რომლის სხვადასხვა ნაწილს განსხვავებული ისტორიული წარსული აქვს და სადაც ძალადობრივი კონფლიქტები და იდეოლოგიური ექსტრემიზმი განსაზღვრავს პოლიტიკურ რეალობას.

ჰენრი კისინჯერი ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე პრეზიდენტის მრჩეველი, რიჩარდ ნიქსონისა და ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის დროს კი – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი იყო.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორს, სხვა მრავალ ჯილდოთა შორის, 1973 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა. „მსოფლიო წესრიგთან“ ერთად, საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის შესახებ, ჰენრი კისინჯერი არაერთი წიგნის ავტორია.

„გასული 50 წლის განმავლობაში არავის მოუხდენია იმხელა გავლენა საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, როგორც ჰენრი კისინჯერს“, – „ფაინენშალ თაიმსი“